პირველი ტაიმი არ ჰგავდა მეორეს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 3 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) – 2:1 (0:1).

“ლოკომოტივი” – მასლაჩენკო, როგოვი, ალიოშინი, ჩერნიკოვი, კოვალიოვი (სოკოლოვი), მორგუნოვი, ზაიცევი, ვოროშილოვი, კალოევი, ბუბუკინი, მინულაევი.

“დინამო” – კვაჭაძე, ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა (უსტაბაშიდი), ა. კოტრიკაძე, ღოღობერიძე, გაგნიძე, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: ა. მალეცი (უუგოროდი).

არაფრით გავდა ერთმანეთს ამ მატჩის პირველი და მეორე ნახევარი. მას შემდეგ, რაც პირველსავე წუთზე მოსკოველებმა ბარქაიას სახიფათო გარღვევა მოიგერიეს, სტუმრები მთლიანად დაეპატრონენ მოედანს და ზედიზედ შეუტიეს მასპინძელთა კარს.

“დინამოს” მცველები, რომელთა რიგებში ავადმყოფობის შემდეგ კვლავ ჩადგა ხოჭოლავა, მთელი ძალებით ჩაებნენ ბრძოლაში, მაგრამ არც ახლა გაუმართლა თბილისელ მარცხენა მცველს. ზაიცევთან ბურთისთვის ბრძოლაში ცუდად დაეცა და იძულებული შეიქმნა მეოთხე წუთზე თავისი ადგილი უსტაბაშიდისათვის დაეთმო. მართალია, წინა მატჩში ახალგაზრდა მცველმა კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ ხოჭოლავას მიერ მოედნის დატოვებამ მაინც ერთგვარი დაღი დაასვა მატჩის შემდგომ მსვლელობას.

სტუმრები თანაბრად თამაშობდნენ როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს. და აი, მე–11 წუთზე კარიდან უდროოდ გამოსულ თბილისელთა მეკარეს ზაიცევმა თავზე გადაუგდო ბურთი და ანგარიში გახსნა – 1:0.

ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა დაიკარგა. 29–ე წუთზეც, როცა ბარქაიას მიერ მარჯვენა მხრიდან კარის წინ მოწოდებული ბურთი თავზე “დააჯდა” გაგნიძეს, მაგრამ მან ხელებში მიაწოდა მეკარე მასლაჩენკოს.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. ტაიმის დასაწყისიდან მოპოვებული ტერიტორიული უპირატესობა მსაჯის საფინალო სასტვენამდე თბილისელებს არ გაუშვიათ ხელიდან. აშკარა შეიქმნა, რომ თბილისელებსაც შეძლებიათ თამაში და გაცილებით უკეთესად, ვიდრე მოსკოველ მოწინააღმდეგეებს. სტუმრებმა მეორე ნახევარში კოვალოვის ნაცვლად მოედანზე გამოიყვანეს სოკოლოვი, რომელმაც კალოევთან ერთად მეორე ცენტრი შექმნა. რკინიგზელებს სურდათ წარმატების განმტკიცება, რადგან მატჩის მოგებით იმტკიცებდნენ მესამე ადგილის მოპოვების შანსებს. დამარცხება არ მასპინძლებს სურდათ და ახლა ყველა ფეხბურთელი თავგამოდებით იბრძოდა მოედანზე.

სტუმრები დაჯარიმდნენ. ჩოხელის მიწოდება მელაშვილმა საჯარიმო მოედანზე თავით გადასცა მესხს, რომელმაც მარცხნიდან შემოუარა მცველთა ჯგუფს. მისი მოულოდნელი, შესანიშნავი ძლიერი დარტყმის წინაშე უძლური აღმოჩნდა მასლაჩენკოს აკრობატული ნახტომი.

30–ე წუთზე ისევ გათამაშდა გაგნიძე–მელაშვილი–ბარქაიას კომბინაცია. ამ უკანასკნელმა შეამჩნია კარის წინ თავისუფლად მყოფი იამანიძე და მიაწოდა, რომელმაც ბადეში შეაგორა ბურთი.

2:1 თბილისელთა სასარგებლოდ – ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

ო. გელაშვილი.

“ლელო”, 5 ოქტომბერი, 1958 წ.

7 ოქტომბერს ლენინგრადში, მოსკოვსა და სტალინოში გამართული მატჩების შემდეგ კიდევ სამი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა. ლენინგრადში ადგილობრივი “ადმირალტეეცის” წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისელი დინამოელები. სტუმრებმა დაბალ დონეზე ჩაატარეს მატჩი და დამარცხდნენ ანგარიშით 1:3.

“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1958 წ.